

სასპეციალიზაციო საგამოცდო საკითხები დისციპლინაში „არქიტექტურის თეორია“

/სამაგისტრო პროგრამა „არქიტექტურა“-ზე შემსვლელთათვის/

სასპეციალიზაციო გამოცდა მოიცავს ორ კომპონენტს:

1. არქიტექტურის თეორია - წერიტი გამოცდა წინასწარ დადგენილი საკითხებით შედგენილი საგამოცდო ბილეთების მიხედვით, თვითოეულ ბილეთში შედის 3 საკითხი.

2. კლაუზურა - კლაუზურა გულისხმობს ესკიზური პროექტის შექმნას კონკრეტულ თემაზე (თემები წინასწარ არ არის ცნობილი), რომელიც წარმოდგენილი უნდა იყოს გრაფიკულად ფაკულტეტის მიერ გაცემულ A1 ზომის ფორმატზე (მაგისტრანტობის კანდიდატმა ესკიზური პროექტი ხელით უნდა შეასრულოს. იგი თავისუფალია აირჩიოს ნებისმიერი გრაფიკული საშუალება (ფერადი ფანქარი, გუაში, აკვარელი და სხვა).

სამაგისტრო საკითხები:

1. საქართველოს ბუნებრივ-კლიმატური პირობების თავისებურებანი და მისი გავლენა შენობა-ნაგებობების არქიტექტურული სახის ჩამოყალიბებაზე
2. თანამედროვე საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების ტიპოლოგია.
3. კონტექსტი არქიტექტურაში.
4. არქიტექტურულ – ისტორიული და კულტურის ძეგლის მცნება.
5. არქიტექტურული ნაგებობების ფსიქო-ემოციური ანალიზი: ლე კორბუზიე – კაპელა რონშანი; იორნ უტცონი – სიდნეის ოპერის თეატრი; ერო სარინენი - ჯ. კენედის სახ. აეროპორტი ნიუ იორკში; რ. როჯერესი და რ. პიანო – პომპიდუს ცენტრი პარიზში; ფრენკ გერი - თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი ბილბაოში.
6. კარკასული კონსტრუქციული სისტემები. კარკასის ტიპები და სახეები;
7. ქანობიანი სახურავები; ქანობიანი სახურავის მზიდი ელემენტები;
8. რელიეფი და არქიტექტურა.
9. ენერგოეფექტური შენობების დაპროექტების პრინციპები.
10. „ჭკვიანი“ სახლების დაპროექტების პრინციპები.

11. ტერმინების “ეკოლოგია” და “ქალაქთმშენებლობითი ეკოლოგია”-ს განმარტებები და არსი
12. გლობალიზაციის პროცესი და ეკოლოგიური წონასწორობა
13. მწვანე ნარგავების როლი ქალაქის ეკოსისტემის შენარჩუნების საქმეში
14. ტყის მნიშვნელობა ბუნებისა და ადამიანის ცხოვრებაში
15. ქალაქში ეკოლოგიური წონასწორობის აღდგენის მეთოდები
16. მეოცე საუკუნის ქალაქთმშენებლობითი თეორიები
17. ურბანული რეკონსტრუქცია – მიზანი, ამოცანები, ურბანული რეკონსტრუქციის ფორმები და სახეები
18. ურბანული რეკონსტრუქციის არქიტექტურულ– სივრცითი, სივრცით– კომპოზიციური ამოცანები. ურბანული რეკონსტრუქციის სოციალური ამოცანები
19. წინასაპროექტო კვლევები, მიზანი, ამოცანები. ქალაქის ისტორიული გარემოს გეგმარებითი სტრუქტურის, ქალაქური ლანდშაფტისა და განაშენიანების მორფოლოგიის ანალიზი
20. ურბანული საზოგადოებრივი ღია სივრცის, როგორც ურბანისტული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნაწილისა და ქალაქის არქიტექტურულ –ესთეტიკური ფორმის ელემენტის შენარჩუნება და განვითარება
21. ისტორიული ქუჩების ქსელი და სატრანსპორტო პრობლემების რეგულირება.
22. დიზაინის წარმოშობა
23. არქიტექტურული გარემოს დიზაინის არსი
24. დიზაინის ორიენტაცია უახლეს მასალებზე
25. ერგონომიკა და კომფორტი
26. საფირმო სტილი და საფირმო სტილის ძირითადი პრინციპები
27. ფერთა ჰარმონიული შეხამებები
28. ფერთი სიმბოლიკა

ლიტერატურა:

1.ნ. თევზაძე. არქიტექტურული დაგეგმარების საფუძვლები. სახელმძღვანელო. დამტკიცებულია სტუ–ის სასწავლო–მეთოდური საბჭოს მიერ. „ტექნიკური უნივერსიტეტი“. თბილისი, 2005. 72(077)/1; 189 გვ.

2. გ. მუხიაშვილი, ვ. ფირცხალავა; სალექციო კურსი: „არქიტექტურული კონსტრუქციები 1“ თბ. 2018 წ. (არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სამკითხველო)

3. ვ. ფირცხალავა, გ. მუხიაშვილი; სალექციო კურსი: „არქიტექტურული კონსტრუქციები 2“ თბ. 2018 წ. (არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სამკითხველო)

3.„ოცნება და სინამდვილე“ წიგნი მესამე; ვახტანგ დავითაია თბ. 2016 (72/150)

4. გ. გეგელია, ბ. თინიკაშვილი; სალექციო კურსი: „შენობათა რეკონსტრუქცია, რეგენერაცია, ადაპტაცია“; თბ. 2020, (არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სამკითხველო)

5.გ.სალუქვაძე. ქალაქთმშენებლობითი ეკოლოგია., გამომც. ”ტექნიკური უნივერსიტეტი”., 2007. (არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სამკითხველო)

6.თევზაძე ე. ლანდშაფტური არქიტექტურა (დამხმარე სახელმძღვანელო). თბილისი: სტუ-ს გამომცემლობა “ტექნიკური უნივერსიტეტი” 2005. (არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სამკითხველო)

7.ხ. ხაბეიშვილი., „რეკლამის ვიზუალური ხერხები“ – ლექციების მოკლე კურსი., 2011.

8.ხ. ხაბეიშვილი, „ფერთმცოდნეობა“ – ლექციების მოკლე კურსი., 2011.

9.ხ. ხაბეიშვილი, „დიზაინის თეორიული საფუძვლები“ – ლექციების მოკლე კურსი., 2011.

შეფასების კრიტერიუმები

საგამოცდო ბილეთი მოიცავს 3 საკითხს. 1 და 3 საკითხს თითოეულ მინიჭებული აქვს 25 ქულა. 2 საკითხს - 50 ქულა. 1 და 3 შეფასების კრიტერიუმები:

21-25 ქულა: პასუხი სრულია; საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული; სპეციალური ტერმინოლოგია დაცულია; სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს საკითხის შესაბამის მასალას, ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული ლიტერატურა.

16-20 ქულა: პასუხი სრულია, მაგრამ შეკვეცილი; ტერმინოლოგიურად გამართულია; საკითხი ამომწურავად არის გადმოცემული; არსებითი შეცდომა არ არის; სტუდენტი კარგად ფლობს საკითხის შესაბამის მასალას.

11-15 ქულა: პასუხი არასრულია; საკითხი დამაკმაყოფილებლად არის გადმოცემული; სპეციალური ტერმინოლოგია ნაკლოვანია; სტუდენტი ფლობს საკითხის შესაბამის მასალას, მაგრამ აღინიშნება მცირეოდენი შეცდომები.

6-10 ქულა: პასუხი არასრულია; ტერმინოლოგია მცდარია; საკითხის შესაბამისი მასალა გადმოცემულია ნაწილობრივ; სტუდენტს არასაკმარისად აქვს ათვისებული ლიტერატურა; აღინიშნება რამდენიმე არსებითი შეცდომა.

1-5 ქულა: პასუხი ნაკლოვანია; სპეციალური ტერმინოლოგია არ არის გამოყენებული ან არ არის შესაბამისი; პასუხი არსებითად მცდარია. გადმოცემულია საკითხის შესაბამისი მასალის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები.

0 ქულა: პასუხი საკითხის შესაბამისი არ არის ან საერთოდ არაა მოცემული.

მე-2 საკითხის შეფასების კრიტერიუმი:

41-50 ქულა: პასუხი სრულია; საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული; სპეციალური ტერმინოლოგია დაცულია; სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს საკითხის შესაბამის მასალას, ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული ლიტერატურა.

36-40 ქულა: პასუხი სრულია, მაგრამ შეკვეცილი; ტერმინოლოგიურად გამართულია; საკითხი ამომწურავად არის გადმოცემული; არსებითი შეცდომა არ არის; სტუდენტი კარგად ფლობს საკითხის შესაბამის მასალას.

26-35 ქულა: პასუხი არასრულია; საკითხი დამაკმაყოფილებლად არის გადმოცემული; სპეციალური ტერმინოლოგია ნაკლოვანია; სტუდენტი ფლობს საკითხის შესაბამის მასალას, მაგრამ აღინიშნება მცირეოდენი შეცდომები.

11-25 ქულა: პასუხი არასრულია; ტერმინოლოგია მცდარია; საკითხის შესაბამისი მასალა გადმოცემულია ნაწილობრივ; სტუდენტს არასაკმარისად აქვს ათვისებული ლიტერატურა; აღინიშნება რამდენიმე არსებითი შეცდომა.

1-10 ქულა: პასუხი ნაკლოვანია; სპეციალური ტერმინოლოგია არ არის გამოყენებული ან არ არის შესაბამისი; პასუხი არსებითად მცდარია. გადმოცემულია საკითხის შესაბამისი მასალის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები.

0 ქულა: პასუხი საკითხის შესაბამისი არ არის ან საერთოდ არაა მოცემული.

შეფასების კრიტერიუმი კლაუზურაში

ნამუშევარი ფასდება 4 კრიტერიუმით. ა) და დ) კრიტერიუმების შეფასების მაქსიმალური ქულაა 20; ბ) და გ) - მაქსიმალური ქულაა 30.

ა)საპროექტო დავალების პირობების დაცვა პროექტის შემადგენლობის თვალსაზრისით;

16-20 ქულა-საპროექტო დავალების პირობები პროექტის შემადგენლობის თვალსაზრისით სრულია. მასშტაბი დაცულია. კომპოზიციური განაწილება კარგია. წარმოდგენილია მაღალ დონეზე.

11-15 ქულა-საპროექტო დავალების პირობები პროექტის შემადგენლობის თვალსაზრისით სრულია. მასშტაბი დაცულია, მაგრამ კომპოზიციური განაწილების მხრივ აღინიშნება ნაკლოვანებები.

6-10 ქულა-საპროექტო დავალების პირობები პროექტის შემადგენლობის თვალსაზრისით არასრულია. მასშტაბი დაცულია, მაგრამ პროექტის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტებია გამოხაზული.

1-5 ქულა-საპროექტო დავალების პირობები პროექტის შემადგენლობის თვალსაზრისით ნაკლოვანია. პროექტის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტებია გამოხაზული. მასშტაბი დარღვეულია.

0 ქულა-მაგისტრანტობის კანდიდატმა ვერ შეძლო საპროექტო დავალების პირობების დაცვა პროექტის შემადგენლობის თვალსაზრისით.

ბ)პროექტის გრაფიკული შესრულების ხარისხი.

26-30 ქულა-გრაფიკული შესრულების თვალსაზრისით პროექტი სრულია. იგი სრულად არის დამუშავებული ზიმების მითითებით, შესრულებულია მაღალ დონეზე.

15-25 ქულა-გრაფიკული შესრულების თვალსაზრისით პროექტი სრულია. იგი სრულად არის დამუშავებული ზომების მითითებით. მაგრამ შესრულების ტექნიკა დასახვეწია.

10-14 ქულა- გრაფიკული შესრულების თვალსაზრისით პროექტი არასრულია. ზომები არ არის მითითებული.

1-9 ქულა - გრაფიკული შესრულების თვალსაზრისით პროექტი ნაკლოვანია. მისი მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტებია დამუსავებული. ზომები არ არის მითითებული.

0 ქულა - მაგისტრანტობის კანდიდატმა ვერ შეძლო პროექტის გრაფიკული სესრულება.

გ)პროექტის მხატვრულ-ესთეტიური და პროფესიული ხარისხი/არქიტექტურული იდეის და მხატვრული აზროვნების ხარისხი.

26-30 ქულა - მხატვრული-ესთეტიური თვალსაზრისით სრულია და შესრულებულია მაღალ დონეზე.

15-25 - მხატვრულ-ესთეტიური თვალსაზრისით პროექტი სრულია, მაგრამ პროექტის წარმოდგენის პროფესიული ხარისხი დასახვეწია.

10-14 ქულა - მხატვრულ-ესთეტიური თვალსაზრისით პროექტი სრულია. ნაწილობრივ გათვალისწინებულია მასალების ფაქტურა, კოლორისტიკა, ანტურაჟი.

1-9 ქულა - მხატვრულ-ესთეტიური თვალსაზრისით პროექტი ნაკლოვანია. არ არის გათვალისწინებული მასალის ფაქტურა, კოლორისტიკა, ანტურაჟი.

0 ქულა - მხატვრულ-ესთეტიური და პროფესიული დონე დაბალია.

დ)პროექტის ფუნქციურ-ტექნოლოგიური და გეგმარებითი მიზანშეწონილობა

16-20 ქულა - ფუნქციურ-ტექნოლოგიური და გეგმარება გადაწყვეტის თვალსაზრისით პროექტი სრულია და შესრულებულია მაღალ დონეზე.

11-15 ქულა - ფუნქციურ-ტექნოლოგიური და გეგმარებითი გადაწყვეტის თვალსაზრისით პროექტი სრულია, მაგრამ პროექტის წარმოდგენის პროფესიული ხარისხი დასახვეწია.

6-10 ქულა - ფუნქციურ-ტექნოლოგიური და გეგმარებითი გადაწყვეტის თვალსაზრისით პროექტი არასრულია. ფუნქციის და ფორმის შესაბამისობა დაცულია, მაგრამ გაუაზრებელია ტექნოლოგიური პროცესი.

1-5 ქულა - ფუნქციურ-ტექნოლოგიური და გეგმარებითი გადაწყვეტის თვალსაზრისით პროექტი ნაკლოვანია. არ არის დაცული ფუნქციის და ფორმის შესაბამისობა.

0 ქულა - მაგისტრანტობის კანდიდატმა ვერ შეძლო პროექტის ფუნქციურ-ტექნოლოგიური და გეგმარებითი მიზანშეწონილობის უზრუნველყოფა.
